სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში

ვახტანგ მურადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ელ.ფოსტა: v.muradashvili@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია გამოკვეთოს და გააანალიზოს სახელმწიფოს ის ვალდებულებები, რომლებიც მას, როგორც სამართლებრივ, სოციალურ და დემოკრატიულ ქვეყანას ეკისრება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში. გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში შეფასდა და გაანალიზდა რესოციალიზაციის კუთხით არსებული თეორიული, პრაქტიკული და ნორმატიული ასპექტები, მისი ურთიერთმიმართება სასჯელის სხვა მიზნებთან. აგრეთვე, ამ კონკრეტული სასჯელის მიზნის, სამართლის ეკონომიკური კუთხით გააზრება, ვინაიდან ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციას მინიმალური ადამიანური და ფულადი რესურსების გამოყენებით მივაღწიოთ. კიდევ ერთხელ მწვავედ და აქტიურად გამოიკვეთა კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ კრიმინოლოგიის მეშვეობითაა შესაძლებელი გავიაზროთ დანაშაულის რაობა, დამნაშავის პიროვნება, დანაშაულის მაპროვოცირებელი გარემოებები და ყოველივე ზემოჩამოთვლილის გათვალისწინებით მსჯავრდებულს განესაზღვროს ინდივიდუალურად მის საჭიროებებზე მორგებული ეფექტური რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები და სარეაბილიტაციო პროგრამები.

საკვლევი თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მიმოხილვითი და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა სისტემურად და შინაარსობრივად შეფასდეს საკვლევი თემის აქტუალური პრობლემები.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ქართულ კანონმდებლობაში რესოციალიზაციის კუთხით არსებული ხარვეზები. მკაფიოდ განისაზღვრა დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებები, ამ კუთხით წარმოჩინდა სამართლის ეკონომიურობის საკითხის მნიშვნელობა სამართალგამოყენების ნებისმიერ ეტაპზე და კიდევ არაერთხელ ხაზი გაესვა კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობას რესოციალიზაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: რეაბილიტაცია, კრიმინოლოგია, პრევენცია

Email: info@heraldoflaw.com

The Role of State in the Process of Resocialization of the Convict

Vakhtang Muradashvili

PhD student at Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Email: v.muradashvili@gmail.com

ABSTRACT

The purpose of the article is to outline and analyze the obligations of the state, which it owes to it as a legal, social and democratic country in the process of resocialization of the convict. In addition, the paper evaluated and analyzed the theoretical, practical and normative aspects of resocialization, its relationship to other purposes of punishment. Also, understanding the purpose of this particular sentence from an economic point of view, as for a country with a small economy as Georgia, it is important to achieve the resocialization of the convict using minimal human and monetary resources. The paper once again, sharply and actively revealed the importance of criminology for resocialization of the convict, since through criminology it is possible to understand the nature of the crime, the identity of the perpetrator, the provocative circumstances of the crime and taking into account all of the above, the basic means of effective resocialization and rehabilitation programs should be determined individually for the convicts tailored to their needs.

Due to the momentousness of the research topic, the research uses review and formal-logical methods, which allow to systematically and substantively assess the current problems of the research topic.

Within the framework of the research, the existing gaps in the Georgian legislation in terms of resocialization were revealed. The obligations of the democratic, social and legal state in this regard were clearly defined. The importance of the issue of economics of law at any stage of law enforcement was highlighted and the importance of criminology as a science in the process of resocialization was repeatedly emphasized.

KEYWORDS: Rehabilitation, Criminology, Prevention

შესავალი

განვლილი გზისა და საერთო ცნობიერების საფუძველზე საზოგადოება განსაზღვრავს მისთვის მისაღებ ნორმებსა და ქცევის წესებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პიროვნება. თავის მხრივ, ქმედება არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. ქმედების სიავკარგეს სწორედ საზოგადოების მიერ შემუშავებული ქცევის საერთო თვისობრიობა განაპირობებს. ხოლო დანაშაული წარმოადგენს დელიქვენტურ, ანუ ნორმიდან გადახრილ ქცევას. დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ანტისოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოების ნორმალურ განვითარებას.

საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომლებიც დგას მის წინაშე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილ, იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით. სასჯელის გამოყენების უმთავრესი სამომავლო შედეგი კი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის აღკვეთა და დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ გავიაზროთ თანამედროვე ეპოქაში მსჯავრდებულის, როგორც ინდივიდის რაობა, მისი საჭიროებები, რათა მან საზოგადოების სრულყოფილ წევრად კვლავ იგრძნოს თავი და თავად საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლი ამ მეტად რთულ, საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, საჭირო საქმეში. აქვე აღვნიაშნავ, რომ წინამდებარე სტატია ეფუძნება ჩემს სამაგისტრო ნაშრომს – „სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში“.

1. რესოციალიზაციის არსი და მისი სამართლებრივი მოწესრიგება

სისხლის სამართალში სასჯელს გააჩნია თავისი მიზნები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს დამნაშავის რესოციალიზაცია. სიტყვა „რესოციალიზაცია“ ლათინური ენიდან მომდინარეობს, „re“ (განმეორებითი, აღდგენილი) + „socialis“ (საზოგადო, საზოგადოებრივი). იგი განმეორებით სოციალიზაციას გულისხმობს.[1] თავის მხრივ, სოციალიზაცია, როგორც ფილოსოფოსები განმარტავენ, არის *„ინდივიდის მიერ კულტურულ-სოციალური გამოცდილების ათვისებისა და სამომავლო განვითარების პროცესი, რომელიც გამოიხატება: განათლებაში, ტრადიციებსა და ღირებულებებში, შრომით უნარ-ჩვევებში და სხვა. ეს არის, პიროვნებაში სოციალური თვისებების ჩამოყალიბება და მისი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩაბმის პროცესი“.*[2] რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, მათ შორის, სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში ნასამართლევი პირის მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ სასჯელის მიზნები მოცემულია სსკ-ის 39-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სასჯელის მიზანს წარმოადგენს: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. საინტერესო ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა

1 Добрыдень, О.А., 2010. Компромисс как действенный метод ресоциализации осужденных к лишению свободы и подготовки их к жизни на свободе. Вестник Саратовской государственной академии права, 3(73), გვ 141.

2 Философский словарь. 1997. Москва, გვ.136.

ტერმინ „რესოციალიზაციის“ განმარტებას. თუმცაღა, სსკ-საგან განსხვავებით, მის განმარტებას იძლევა პატიმრობის კოდექსი. კერძოდ, მის 116-ე მუხლის პირველ ნაწილში შემდეგნაირადაა განმარტებული რესოციალიზაცია, როგორც: *„მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება“.* ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: *„მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით“.*

სსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: *„ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით“,* რაც რეალურად არსებულს არ შეესაბამება. გამომდინარე იქიდან, რომ პატიმრობის კოდექსის 116-ე და 117-ე მუხლებში საუბარია მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიმართ გასატარებელ რესოციალიზაციის ძირითად საშუალებებსა და სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებზე. სწორედ, აღნიშნულში მდგომარეობს კანონის ხარვეზი. ვინაიდან, აქ არ ჩანს იმ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის განხორციელებისა და ამ პროცესზე კონტროლის რა საშუალებებს იყენებს სახელმწიფო, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეეფარდათ სასჯელის უკიდურესი სახე – თავისუფლების აღკვეთა. სასურველი და მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა აღნიშნული ნაკლი გამოასწოროს და ასევე, თვალსაჩინოდ ასახოს ის საშუალებები და გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა გამოყენებაც ხდება და უნდა მოხდეს იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა არ შეფარდებიათ, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაკისრებული სასჯელი უკვე მოიხადეს.

აღსანიშნავია, რომ 39-ე მუხლის ხარვეზები ამით არ ამოიწურება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: *„სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით“.* თუმცაღა, გაურკვეველია, ვის მოიაზრებს კანონმდებელი მითითებულ მუხლში მოხსენიებულ *„სხვა პირში“.* ვინაიდან სისხლის სამართალი იცნობს მხოლოდ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ცნებებს. კერძოდ, სსკ-ის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით: *„მსჯავრდებული ესაა პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი“.* ხოლო ამავე მუხლის მე-19 ნაწილის მიხედვით: *„ბრალდებულია პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული“.* შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა, თუ ვის მოიაზრებს კანონმდებელი სსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგ სიტყვებში: „სხვა პირი“ და რა კავშირშია სასჯელის მიზნის განხორციელება „სხვა პირზე ზემოქმედებასთან“ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ორგანოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაავრცელონ რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები* პირზე, უკეთუ, ის არაა მსჯავრდებული ან ბრალდებული?!

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორია-

* დაწვრილებით იხ. მუხლი 116, პუნქტი 2, საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].

ზე, საქართველოს სახელმწიფო ალმით ან ამოსაცნობი ნიშნით მცურავ და მფრინავ ხომალდებზე, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებზე მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად.[3] პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს, რომ *„სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა“.*[4] რასაკვირველია, აბსოლუტურად ჭეშმარიტებას ამბობს პროფ. გურამ ნაჭყებია, თუმცაღა, ცალკე აღებული მოქმედების გავრცელება არ გულისხმობს, რომ თითოეული მოქალაქე წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების სუბიექტს. „ერთი მხრივ, ამტკიცებენ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია დანაშაულის ჩამდენი პირი, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ სისხლის სამართლის ნორმა მიმართულია ყველა დელიქტუნარიან მოქალაქეზე. საკითხავია, რომელია აქ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი – დანაშაულის ჩამდენი პირი თუ საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი? ცხადია, რომ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი დანაშაულის ჩამდენი პირია და მაშინ, ეს ადრესატი ამავე დროს საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი ვერ იქნება და პირიქით“.[5] როგორც უკვე აღვნიშნე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებული, ხოლო ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციის სუბიექტს კი – მსჯავრდებული. შესაბამისად, სხვა ნებსმიერი პირი, რომელსაც არ ჩაუდენია სსკ-ით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ე.ი. იგი არ არის არც ბრალდებული, არც მსჯავრდებული, შესაბამისად, მის მიმართ ვერ გამოვიყენებთ ვერც სასჯელს და, აქედან გამომდინარე, მასზე ვერ გავრცელდება სასჯელის მიზნებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გენერალურ, იმავე საერთო/ზოგად პრევენციას, ხოლო სსკ-ის არსებობა თავისთავად გულისხმობს ამ ტიპის პრევენციის განხორციელებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლის აღნიშნული პოზიცია ბუნდოვანია და საჭიროებს შესაბამის განმარტებას.

2. რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა

კანონმდებელმა სწორედ სამართლიანობის აღდგენა დააყენა პირველ რიგში სასჯელის დანარჩენ მიზნებთან მიმართებით. კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან, რათა დამნაშავისათვის სამაგიეროს მიზღვევით აღადგინოს დანაშაულებრივ ხელყოფამდე არსებული მდგომარეობა. მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული ჩვეულებითი სამართლის გავლენაც: *„თითქმის მეთვრამეტე საუკუნემდე გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ სასჯელი, ეს არის შურისძიება, ნაცვალგება ჩადენილი დანაშაულისათვის, რომ ბოროტებას თანაბარი ბოროტებით უნდა გაეცეს პასუხი“.*[6] ანუ გაბატონებული იყო ე.წ. „ტალიონის პრინციპი“.

3 იხ. მუხლი 4 და 5, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].

4 იხ. ნაჭყებია, გ., 2002. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. თბილისი: ბიზნეს-კურიერი, გვ. 31.

5 ნაჭყებია, გ., 1997. სისხლის სამართლის საგანი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 47.

6 იხ. გოთუა, ზ., 2001. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი. ლექციების კურსი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 7.

სამართლიანობის აღდგენასთან ერთად მნიშვნელოვანია, ასევე განვიხილოთ სოციალური სამართლიანობის აღდგენაც. რაც გულისხმობს: *„დანაშაულებრივი ქმედების შედეგად შელახული ადამიანის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესის აღდგენას“.*[7] აღსანიშნავია, რომ ქონებრივი ხასიათის სასჯელებს უფრო ახასიათებთ აშკარა აღდგენითი თვისება, თუმცაღა იქ, სადაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო სასჯელით აღდგენითი ხასიათის გამოხატვა შეუძლებელია, მაშინ იგი სასჯელის სიმკაცრეში პოულობს ასახვას. რაც, თავის მხრივ, დაზარალებულისა და საზოგადოების მორალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

პროფ. ი.დვალიძის მოსაზრებით: *„სასჯელის უპირველესი მიზანი, სწორედ, სამართლიანობის აღდგენაა. თუნდაც სასჯელის ნებისმიერი სხვა მიზანი აღსრულდეს, განა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელი თავის ფუნქციურ დატვირთვას ასრულებს, თუ სამართლიანობა არ აღდგა? ბუნებრივია, არა, რადგან ეს სახელმწიფოს უფლებას სასჯელზე ძირს გამოუთხრის“.*[8] უდავოა, რომ სამართლიანობის აღდგენა არის სასჯელის მიზანი და მისი უგულებელყოფა შეუძლებელი და დაუშვებელია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ სამართლიანობის აღდგენა *„უცილობლად გულისხმობს დანაშაულის ჩადენით გამოწვეული მრისხანების, ზიზღის, სიძულვილის, ანგარიშსწორების სურვილის დაკმაყოფილებას, რაც დამახასიათებელი გრძნობაა ადამიანისათვის და თავისთავად აღმოცენდება დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე“.*[9] სწორედ აღნიშნული კერძო თუ საზოგადო ინტერესების ასახვის გამოძახილია სასჯელის აღნიშნული მიზანი და ნაკლებად წარმოადგენს სახელმწიფოს უპირველესი სასჯელის მიზანს. ვინაიდან, თავისი არსით, სახელმწიფოებრივ ინტერესს ნაკლებად უნდა წარმოადგენდეს კერძო პირებს შორის არსებული უმართლობის აღდგენა. სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავია, რომ მსგავსი უმართლობები აღარ ხდებოდეს. აღნიშნულისათვის კი სამაგიეროს მიზღვა ნაკლებ ეფექტური და ზედმეტად ადამიანური ბუნების მატარებელია.

სასჯელის მიზნებთან მიმართებით საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი,[10] სადაც პირს ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 238-ე[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ცივი იარაღის ტარება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით იგი ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238-ე[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რაც ბრალდების მხარემ გაასაჩივრა და მოითხოვა უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელი ვერ უზრუნველყოფდა სასჯელის მიზნებს: სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენი

7 ლეკვეიშვილი, მ. და სხვები, 2018. სისხლის სამართლის სახელმძღვანელო ზოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 64.

8 დვალიძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 25.

9 გოთუა, ზ., 2001. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი სასჯელი. ლექციების კურსი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 8.

10 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის განაჩენი (საქმე №1/ბ-1123-16).

და არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი და აღნიშნა, რომ სასჯელის გამაფრთხილებელი ზემოქმედება მძიმე სახის სასჯელის დანიშვნის სიმკაცრეში კი არაა, არამედ მის გარდაუვლობაში. დამნაშავის დასჯა არ არის სასჯელის ძირითადი მიზანი და შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ არ იყო აუცილებელი შედარებით მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც ბრალდების მხარე მოითხოვდა.

საინტერესო ფაქტია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო პირის მსგავს დანაშაულში ნასამართლეობის ფაქტი, თუმცაღა ცალსახა და გასაზიარებელია მისი პოზიცია სასჯელის მიზნებთან მიმართებით. ვინაიდან სამართლიანი განაჩენი უნდა ასახავდეს მსჯავრდებულისათვის სასჯელის სახისა და ზომის ინდივიდუალურ, ადეკვატურსა და რაციონალურ შეფარდებას.

3. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, დემოკრატიულ და სოციალურ სახელმწიფოს პრინციპებთან ერთად, ქმნის მყარ საფუძველს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით. სამართლებრივ სახელმწიფოში ასევე მოიაზრება სამართლიანობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობაც: *„სასამართლოს დამოუკიდებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, სამართალი ყველაზე თანაბრად ვრცელდება, რაც საზოგადოების თითოეულ წევრში სამართლიანობის განცდას განაპირობებს".*[11] სახელმწიფო სასჯელის გამოყენებით ახორციელებს სამართლებრივობის პრინციპს, ვინაიდან, სასჯელის მეშვეობით აღმოფხვრის სამართლებრივ უწონასწორობას,[12] რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად წარმოიშვება. თავის მხრივ, სასჯელს სასამართლო უფარდებს პირს, სასჯელი კი აისახება სასამართლოს განაჩენში, რომელიც სახელმწიფოს სახელით ცხადდება, შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით თავად სახელმწიფო და საზოგადოება სჯის პირს, რომლის მიმართაც აღსრულდება შესაბამისი სასჯელი. სასჯელი კი უნდა იყოს როგორც კანონიერი, ასევე სამართლიანიც. ხოლო *„უსამართლო სასჯელის დანიშვნით ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები: პირველ რიგში, სამართლიანობის აღდგენა და შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია".*[13] მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს არ ჰქონდეს უსამართლობის განცდა, რომელიც გააბოროტებს მას, ეს კი, თავის მხრივ, შეასუსტებს ჩადენილი დანაშაულის სოციალური მხარის ობიექტურად გააზრებისა და თავისი დანაშაულებრივი ქმედების თვითკრიტიკის პროცესს, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულის მიერ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ საწყის ნაბიჯს, ურომლისოდაც მნიშვნელოვნად ფერხდება ამ უკანასკნელის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი.

11 გეგენავა, დ. და სხვები, 2015. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. მესამე გამოცემა, თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 12.

12 იხ. ვარძელაშვილი, ი., 2016. სასჯელის მიზნები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 23.

13 იხ. ვარძელაშვილი, ი., 2013. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 190.

სამართლებრივ სახელმწიფოსთან მიმართებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გააზრებაც. რომელიც მოიცავს რამდენიმე ელემენტს: აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის წინასწარ განსაზღვრა, კანონების და სამართლებრივი ნორმების გარკვეულობა და სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის ჩამოყალიბება.[14] ჯ.ლოკის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი შტოები ვალდებულნი არიან სახელმწიფო მართონ არა დროებით და ნაჩქარევად შექმნილი კანონებით, არამედ დამკვიდრებული, მუდმივმოქმედი, გამოცემული და ხალხისათვის ცნობილი კანონებით. რომლებზე დაყრდნობითაც იხელმძღვანელებენ მიუკერძოებელი და სამართლიანი მოსამართლეები.[15] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მკაფიოდ შეიცნოს ქცევის წესი და ამის საფუძველზე განსაზღვროს თავისი ქცევის შინაარსი, სწორედ ესაა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.[16]

სამართლებრივ სახელმწიფოში მნიშვნელოვანია აგრეთვე თანასწორობის პრინციპის განხილვა. აღსანიშნავია, რომ *„თანასწორობის ძირითადი უფლებები (status relativus) ინდივიდს იცავენ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობისგან სახელმწიფოს მხრიდან“.*[17] რ.დვორკინის აზრით, თანასწორობისა და თავისუფლების კონფლიქტისას ამოსავალი უნდა იყოს სახელმწიფოს ვალდებულება, ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირების ცხოვრება გახადოს უკეთესი და თითოეულის სიცოცხლის მიმართ გამოიჩინოს თანაბარი ინტერესი:[18] *„სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მატერიალური განსაზღვრების თანახმად, მისი უმთავრესი მიზანი და ამოცანა საზოგადოებისა და ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფაა“.*[19]

თანასწორობასთან კავშირში უნდა შევეხოთ თანაზომიერების პრინციპსაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: *„თანაზომიერების პრინციპი პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპთან. სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონმდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას, ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას“.*[20]

რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს

14 იხ. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. და ხასია, მ., 2014. სასაჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 21.

15 იხ. Locke, J., 1980. Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, §131.

16 იხ. კობახიძე, ი., 2013. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 320.

17 დემეტრაშვილი, ა. და კობახიძე, ი., 2011. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: ინოვაცია, გვ. 78.

18 Dworkin, R., 1987. What is Equality Part 3: The Place of Liberty. Iowa Law Review 73/1, გვ. 8.

19 იხ. Sommermann, K., Mangoldt, H., Klein F. Und Starck Ch. (Hrsg.), 2010. Kommentar zum Grundgesetz Art. 20. München, გვ. 232.

20 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/415).

პრინციპი, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ბრალდებულის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის გამოყენებას. აღნიშნული პრეზუმფციის მიხედვით, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით მიღებული და ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით და, რომ არავინაა ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, რაც აღნიშნული ბრალდების მხარის მოვალეობაა. ყოველივე აღნიშნული კი საწინდარია იმისა, რომ პირს არ გაუჩნდება უსამართლობის განცდა, დარწმუნებული იქნება, რომ მისი საქმე კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილება და სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს განაჩენით, მანამდე სასჯელს არ დააკისრებენ. ე.წ. ბრალის დადასტურების გარეშე სასჯელის დაკისრების პრინციპი-„Nulla poena sine culpa". ასევე მნიშვნელოვან კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, ე.წ. „Non bis in idem" პრინციპი, რომელიც ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდებას კრძალავს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, *„მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელაღსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ, სურს მისი დახმარება(გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისაღწევი იქნება".*[21] მსჯავრდებულის უფლებათა შეზღუდვის დროს თანაზომიერების პრინციპის გამოყენება ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნებისმიერი ხასიათის შეზღუდვა უნდა განხორციელდეს სწორედ თანაფარდობის პრინციპის ელემენტების დაცვით,[22] რაც ხელს შეუწყობს პირის სრულფასოვან რესოციალიზაციას, რადგან მას ეცოდინება, რომ მისი კონსტიტუციური უფლებები სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებშიც კი დაცული და სათანადოდ რეალიზებულია.

4. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და რესოციალიზაცია

„მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მეცნიერებასა და პრაქტიკაში სოციალური სახელმწიფოს ქვაკუთხედის – საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის – განვითარებასა და მოდერნზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა წარმოადგენს".[23] სასჯელის მეშვეობით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევა საეჭვო იქნება საამისოდ შესაბამისი პირობების, გარანტირების გარეშე, პირიქით, შესაძლოა, საწინააღმდეგო შედეგიც კი მივიღოთ და პატიმრობის შედეგად მსჯავრდებული საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების წესისა და უნარისაგან კიდევ უფრო მეტად დისტანცირდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევაში საკმაოდ დიდია და მას ეკისრება პასუხისმგებლობის დიდი ტვირთი.[24] რასაკვირველია, *„სახელმწიფოს უფლება აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გამოიყენოს თავისუფლების*

21 შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. და ხასია მ., 2014. სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 22.
22 იქვე. 24 – 25.
23 უსენაშვილი, ჯ., 2016. სოციალური სახელმწიფოს ვალდებულება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესში. კრიმინოლოგიის ჟურნალი, 1, გვ. 47-48.
24 იხ. ერემაძე, ქ. და სხვები, 2016. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 14-15.

აღკვეთა, მაგრამ იგი ვალდებულია, ციხის პირობები მოაწყოს ისე, რომ მსჯავრდებულისათვის გამოსწორების მომტანი იყოს".[25] *„ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს 2003 წლის რეკომენდაციით (Rec(2003)23) თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების საცხოვრებელი პირობები შეძლებისდაგვარად, თავისუფლებაში არსებული ცხოვრების პირობებთან უნდა იყოს მიახლოებული, რათა არ მოხდეს მსჯავრდებულის დიდი ხნით თავისუფლებააღკვეთის გამო მისი სოციალური გადაგვარება".*[26] გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული პირის ციხის პირობებში რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ღირსეულად გამოსწორებული დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ, იმის მიუხედავად მიუძღვის თუ არა პიროვნულად ბრალი, შეეზღუდოს სოციალური განვითარება. ასეთი პიროვნების კატეგორიას განეკუთვნებიან მსჯავრდებულები და ციხიდან გათავისუფლებული პირები.[27]

დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს უმუშევრობა და სიღარიბე წარმოადგენს. უმუშევრობა და სიღარიბე თანამედროვე სამყაროს უდიდესი პრობლემაა და მათ შორის, არც საქართველოა გამონაკლისი, ხოლო სახელმწიფოს მიერ ადამიანთა სოციალური უფლებების დაცვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ე.წ. *„ძვირი უფლებებია".*[28] თუმცაღა, მიუხედავად სახელმწიფოს ბიუჯეტის სიმწირისა და უფლებათა დაცვის სიძვირისა, სახელმწიფო ვალდებულია დაინახოს საკუთარი როლი სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებშიც და პენიტენციალური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომაც იზრუნოს მსჯავრდებულთა უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულების პირობებში ვერ ისწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ყოფნას და მისი გამოსწორება შეუძლებელი იქნება, აგრეთვე უმუშევრობის შემთხვევაში მას სხვა გზა არ ექნება, გარდა დანაშაულის ხელახლა ჩადენისა, რაც გაცილებით ცუდი შედეგის მომტანია, როგორც სახელმწიფოსთვის, აგრეთვე, თვით ამ პირისათვის.

„სასჯელაღსრულების ფარგლებში პატიმრის მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია რესოციალიზაციის ეფექტური საშუალება, როდესაც შესრულებული სამუშაო სათანადოდ არის აღიარებული. აღიარება არ უნდა გამოიხატებოდეს აუცილებლად ფინანსებში, იგი გულისხმობს პატიმრისათვის, მისთვის ხელმისაწვდომი და საგრძნობი სარგებლის სახით, რეგულარული სამუშაოს პრიორიტეტების გაზიარებასა და ჩვენებას, რომელიც

25 იზორია, ლ., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 39-ე, თბილისი: GIZ, გვ. 484.

26 შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. და ხასია, მ., 2014. სასაჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 33.

27 იხ. შვაბე, ი., 2011. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილება (BVerfG 35, 202 (235), თბილისი: GIZ, გვ. 315.

28 იხ. ერემაძე, ქ. და სხვები, 2016. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ.109.

შესაძლოა მან განახორციელოს მომავალში – არადანაშაულებრივი და პატიოსანი ცხოვრებისას".[29] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: *„პატიმარს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი და სურვილი. მან მომავალში უნდა შეძლოს თავისუფალ საზოგადოებაში პატიოსანი ცხოვრება დანაშაულის ჩადენის გარეშე, ამ საზოგადოების მიერ მიცემული შანსებით სარგებლობა და მასში არსებული რისკების საკუთარ თავზე აღება. ამას გარდა რესოციალიზაცია ემსახურება თვითონ საზოგადოებასაც, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ განიცადოს რეციდივი და განმეორებით აღარ დაზიანოს თანამოქალაქეები და საზოგადოება".*[30]

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლისა და მასობრივი ამინისტიის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულება 14 000-მდე პატიმარმა დატოვა. ციხეებს სხვადასხვა მიზეზით პატიმრები ყოველდღიურადაც ტოვებენ და ცხოვრებას ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ. ეს კი ის სტიგმაა, რომლის გამოც მათ სოციალურ ურთიერთობებსა და დასაქმებაშიც პრობლემები ექმნებათ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უარყოფა კი, ხშირ შემთხვევაში, ხელახალი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ნასამართლეობა უმუშევრობას არ უნდა უდრიდეს და ამ ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია გაუმართლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთი სოციოლოგიურ-კრიმინოლოგიური თეორია არსებობს: ე.წ. განტევების ვაცის თეორია, ეტიკეტირების თეორია და სხვა.*

სტიგმატიზაციის მიუხედავად, გარკვეული დადებითი ძვრები მსჯავრდებულთა დასაქმების კუთხით შეიმჩნევა, თუმცა საკმარისი არაა. მაგ: 2016 წლის ივნისში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივის შედეგად, მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს, რომლებიც სასჯელაღსრულების ან პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებიან, საშუალება აქვთ გამოიყენონ ელ. კომერციის ხერხი საკუთარი ნაწარმის რეალიზებისთვის. საიტი სამინისტრომ საკუთარი ხარჯებით დაამზადა და დღემდე უზრუნველყოფს პროდუქციის ტრანსპორტირებასა და ვებგვერდზე განთავსებას. პროდუქციის ფასებს პატიმრები განსაზღვრავენ, რაც შეეხება შემოსავალს, იგი დაბეგვრის გარეშე ირიცხება მსჯავრდებულის პირად ანგარიშზე, თანხის გამოყენება კი სასჯელაღსრულების დაწესებულებაშივეა შესაძლებელი.[31]

დასაქმებასთან ერთად მსჯავრდებულთათვის მნიშვნელოვანია განათლების ხელმისაწვდომობა. აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებს, დაეხმაროს განათლების მიღებასა და პროფესიულ სწავლებაში. ვინაიდან განათლების ნაკლებობა და პროფესიის არ ქონა ხშირ შემთხვევაში აბრკოლებს სამომავლოდ მათ დასაქმებას. გარდა ამისა, განათლების უფლება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუყოფელი ნაწილია: „არავის შეიძლება

29 შვაბე, ი., 2011. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი: GIZ, გვ. 214.

30 იხ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, (BVerfGE 35, 202, 235.).

* აღნიშნულ საკითხზე დამატებით იხ. შალიკაშვილი, მ., 2010. კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში). სამართლის ჟურნალი, 1-2, გვ. 197-203; აგრეთვე, გიდენსი, ე., 2011. სოციოლოგია. თბილისი: ღია საზოგადოება საქართველო, გვ. 219-222; 254-255.

31 აღნიშნული ონლაინ მაღაზია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.online.moc.gov.ge/katalogi>[წვდომის თარიღი 15 მაისი 2019].

აღეკვეთოს განათლების უფლება!" ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განათლების უფლებას განიხილავს, როგორც ყველასათვის თანაბარ უფლებას და განმარტავს, რომ ყველას აქვს განათლების უფლება, განურჩევლად მდგომარეობისა და სტატუსისა, ასევე დეკლარაცია განმარტავს თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს განათლების პროცესი, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისკენ:[32] *„აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მაღალმოთხოვნად საჭიროებად უნდა განვიხილოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართებაში, რათა მათ განუვითარდეთ პატივისცემა საზოგადოებისადმი და ორიენტაცია აიღონ მათ პიროვნულ განვითარებაზე".*[33]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: *„განათლების დაფინანსებას ვერ განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს მიერ პირისთვის მინიჭებულ პრივილეგიას ან შემწეობას. პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის, ამავე დროს – განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მთელი ცხოვრების განმავლობაში წაართმევს ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობას".*[34]

5. რესოციალიზაცია სამართლის ეკონომიკურ ჭრილში

დღევანდელ რეალობაში უნიშვნელოვანეს როლს ფინანსები და მათი ეფექტური განკარგვა წარმოადგენს. სწორედ სახელმწიფოს სახსრების ეკონომიურ გამოყენებას უნდა ემსახურებოდეს კანონშემოქმედება და სამართალგამოყენება, *„რატომ უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტიანობა მართლწესრიგის ფუნდამენტალური პრინციპი? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებელია სამართლის ეკონომიკური ანალიზის ნორმატიული ლეგიტიმაციისათვის".*[35] აღნიშნული მეტად პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა. მოგეხსენებათ, საქართველო დიდი ეკონომიკური სტაბილურობითა და შემოსავლებით არ გამოირჩევა, ხოლო სასჯელის გამოყენება კი სახელმწიფოს ძვირი უჯდება,[36] რაც, თავის მხრივ, კიდევ აუარესებს როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მატერიალურ მდგომარეობას.

სამართლის ეკონომიკური ანალიზი მოიცავს როგორც კანონშემოქმედებას, აგრეთვე სამართლის შეფარდების პროცესსაც. კანონმდებელმა უნდა შეიმუშაოს ეკონომიკურად ეფექტიანი კანონები: *„სამართლის შემფარდებელმა, მათ შორის მოსამართლემ, უნდა უზრუნველყოს ნორმათა*

32 იხ. მუხლი 26-ე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].

33 შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. და ხასია, მ., 2014. სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 192.

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/540).

35 ქირია, ა. და ბურდული, ი., „რედ.", 2014. სამართლის ეკონომიკური ანალიზი და მისი მეთოდოლოგიური საზღვრები. საკორპორაციო სამართლის კრებული, II, გვ. 17.

36 იხ. გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი მესამე, თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 111.

ეკონომიკურად ეფექტიანი აღსრულება".[37] ნორმათა ეფექტურობა უნდა განისაზღვროს საზოგადოებისათვის კეთილდღეობის დონის ამაღლების ინდექსით. ნორმის ეფექტურობა პირდაპირპროპორციულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის ზრდასთან მიმართებით. შესაბამისად, ის ნორმაა ეფექტური, რომელიც საზოგადოებრივ კეთილდღეობის დონეს აამაღლებს და შექმნის *„საზოგადოებრივ დოვლათს".*[38] სისხლისსამართლებრივი *„სანქცია უნდა იყოს ისეთი სახის, რომ მისი გამოყენებით სახელმწიფომ დახარჯოს მცირე რესურსი და მიიღოს რაც შეიძლება კარგი შედეგი, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია".*[39]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება სისხლის სამართლის გამოყენება და აღსრულება. სახელმწიფო იხდის სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს, როგორებიცაა: სასამართლო, პროკურატურა და სხვა. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო აშენებს ციხეებს და ქირაობს შესაბამის პერსონალს, რათა აღასრულოს სამართლის შემფარდებელი ორგანოების გადაწყვეტილება და უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების შესაბამის პენიტენციალურ დაწესებულებაში მოთავსება, რაც აგრეთვე გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, *„რომელსაც გადასახადის გადამხდელი აფინანსებს. შესაბამისად, აქტუალურია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ იურიდიული სანქციის მიზნები განვახორციელოთ მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით".*[40] *„სამართალდამცავი ორგანოების ამოცანათა შესახებ სტანდარტული მოსაზრებების თანახმად, მათი მიზანია, დანაშაულობის ლიკვიდირება საზოგადოებაში. მაგრამ, თუ შევხედავთ ამ პრობლემას სარგებლიანობა-დანახარჯების თვალსაზრისით, შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რა უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას: დანაშაულობა თუ მასთან ბრძოლა?"*[41] *„სასჯელის ეკონომიის პრინციპის თანახმად, მკაცრი სასჯელები ძვირადღირებულია, ხშირად დამნაშავის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის მავნეა, ხოლო მისი გამოყენების შედეგი (სარგებელი) საკმაოდ საეჭვო".*[42] *„კრიმინალური იუსტიციის სისტემის საქმიანობა არსებითად არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა ეკონომიკური წარმოების პროცესისაგან".*[43] მაშასადამე, უნდა განისაზღვროს პოლიციის საქმიანობის ისეთი ფარგლები, რომ *„იუსტიციის მთელი სისტემის ზღვრული სოციალური ხარჯები ტოლი იყოს თავიდან აცილებული სამართალდარღვევათა ზღვრული სოციალური სარგებლიანობი-*

37 ხუბუა, გ., 2015. სამართლის თეორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 133.
38 ბალარჯიშვილი, ი., 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა. თბილისი: ინოვაცია, გვ. 60.
39 შალიკაშვილი, მ., 2017. კრიმინოლოგია. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 208.
40 ხუბუა, გ., 2015. სამართლის თეორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 134.
41 ბალარჯიშვილი, ი., 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა. თბილისი: ინოვაცია, გვ. 40.
42 ლეკვეიშვილი, მ., 2011. სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. სტატიათა კრებული, თბილისი: მერიდიანი, გვ. 35.
43 Phillips, L. and Votey, Hi. JR., 1981. The Economics of Crime Control. Beverly Hills etc. გვ. 25.

სა".[44] წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სახელმწიფო და საზოგადოება კარგავს ადამიანურ რესურსს მსჯავრდებული პირის სახით, აგრეთვე იხარჯება, როგორც მატერიალურ-ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი, რომელიც ტვირთად ისევ საზოგადოებას და სახელმწიფოს ბიუჯეტს აწვება.

კრიმინალის მიმართ პოლიტიკის განხორციელების ნებისმიერი ეტაპი, იქნება ეს დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გახსნა თუ დამნაშავის დასჯა, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ფინანსური თვალსაზრისით დამნაშავის დასჯა ანტიდოვლათს წარმოადგენს, ვინაიდან, თავისუფლებააღკვეთილ პირს არ შეუძლია რაიმე ღირებული დოვლათის შექმნა, შესაბამისად, დასჯა იწვევს დოვლათიანობის შემცირებას:[45] *„ციხეში მყოფ დამნაშავეს არ შეუძლია, იყოს მწარმოებლური და ის აწარმოებს გარკვეულ ხარჯებს მაშინ, როდესაც სარგებელს არავინ არ იღებს ამის შედეგად".*[46] მნიშვნელოვანია, რომ *„სახელმწიფომ გააანალიზოს, თუ რომელი სახის სასჯელის გამოყენებაა მისთვის ეკონომიკურად და სასჯელის მიზნების შედეგობრივად უფრო მისაღები".*[47] აღსანიშნავია, რომ სასჯელებთან მიმართებით მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელის სახეების აქტიური გამოყენება, აგრეთვე ისეთი სახის სასჯელის დანიშვნა, რომელიც მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული და ამავე დროს ეკონომიკური თვალსაზრისითაც გამართლებული. სამართლის ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ეკონომიკურად მომგებიანად უნდა მივიჩნიოთ ისეთი საპროცესო შეთანხმება, რომელიც არ ითვალისწინებს პირის თავისუფლების აღკვეთას, ვინაიდან დაიზოგება სახელმწიფოს როგორც ფინანსური, აგრეთვე ადამიანური რესურსი.[48]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ჰქონდეს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა სამართალშემოქმედებისას და სამართალშეფარდების პროცესში. აგრეთვე, სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზით მიღებული დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, კერძოდ, სოციალურ სამართლიანობას, შესაბამისად, სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და სამართლიან გადანაწილებას.[49] ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე, ვინაიდან ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მისაღებ და ეფექტურ ხერხს დანაშაულებრიობასთან საბრძოლველად, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია წარმოადგენს.

6. კრიმინოლოგია და რესოციალიზაცია

დამნაშავეობა არის ანტისოციალური მოვლენა და სახელმწიფოს შეუძლია მისი გაკონტროლება. *„დანაშაულის სისხლისსამართლებრივ სოციალურ კონტროლში იგულისხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, მათი სტრატეგია და სან-*

44 Anderson, W.R., 1976. The Economics of Crime. The Macmillan Press LTD, Ch.2, The Social Optimal Level of Offence, გვ. 54.

45 იხ. ბალარჯიშვილი, ი., 2010. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა. თბილისი: ინოვაცია, გვ. 61.

46 Rubin, H.P., 1980. The Economics of Crime. Cambridge (Mass.) გვ. 20.

47 შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ. და ხასია, მ., 2014. სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 35.

48 იხ. აქუბარდია, ი., 2011. დაცვის ხელოვნება. თბილისი: მერიდიანი, გვ. 203-204.

49 ლოლაძე, ბ., 2012. სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? სტატიათა კრებული:ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები. თბილისი: GIZ, გვ. 113.

ქცია, რომლითაც ადამიანების სისხლის სამართლის ნორმით დაცულ კონფორმულ ქცევას უნდა შეეწყოს ხელი".[50] რაც შეეხება დანაშაულის პრევენციას, აღნიშნული გულისხმობს: სახელმწიფოსა და საზოგადოების მონდომებასა და აქტიურ მოქმედებას დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეშლაში, შესაბამისი ღონისძიებების დანერგვასა და განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, აღკვეთს დანაშაულის ჩადენას: *„კრიმინალური პრევენცია მოიცავს სახელმწიფო და კერძო მცდელობებს, პროგრამებსა და ღონისძიებებს, დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენის და ინდივიდუალური მოვლენის თავიდან აცილებას".*[51] დანაშაულის პრევენციაში გამოყოფენ სამი დონის პრევენციას: პირველი, მეორე და მესამე. თითოეულს გააჩნია საკუთარი ღონისძიებები, მიმართული და ორიენტირებულია პირთა სხვადასხვა ჯგუფებისაკენ.[52]

პირველი დონის პრევენცია (იგივე სოციალური, უნივერსალური) მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე და გულისხმობს მოსახლეობაში სამართლისა და საზოგადოებრივ ღირებულებათა პატივისცემის გრძნობის ამაღლებასა და ამასთან, ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც დანაშაულის ხელშემწყობ ფაქტორებს აღმოფხვრავს.[53] ვერ დავეთანხმები დ.ჩიხლაძის მოსაზრებას, რომ *„არასპეციფიკური, უნივერსალური ხასიათის გამო საკამათოა პირველი დონის პრევენცია, წარმოადგენს თუ არა კრიმინალური პრევენციის სახეს".*[54] ვინაიდან, მიუხედავად პირველი დონის პრევენციის ზოგადი ხასიათისა, ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, *„აღმოფხვრას დანაშაული ფესვებში".*[55] შესაძლოა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრაში მისი როლი სუსტად მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დასაწყისშივე თუ მყარი საძირკველი არ მოვამზადეთ, ისე მედგრად კონსტრუქციას ვერ შევქმნით. შესაბამისად, პირველადი დონის პრევენცია წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია, დანაშაულის გამომწვევ მიზეზს დასაწყისშივე მოვუღოთ ბოლო, რათა სამომავლოდ არ დაგვჭირდეს დამატებითი ღონისძიებების გატარება.

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია მიმართულია სავარაუდო რისკ ჯგუფებისაკენ, როგორებიცაა: სავარაუდო დამნაშავეები და პოტენციური მსხვერპლები. მისი მიზანია იმ შესაძლო სიტუაციებისათვის ხელის შეშლა, როდესაც პირს შეეძლება დანაშაულის ჩადენა ან ვინმე გახდება დანაშაულის მსხვერპლი. მეორე დონის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, ერთი მხრივ, გაზარდოს სამართალდამცავთა პრეზენტაბელურობა, ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ, კი მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე გააკეთოს აქცენტი, გააძლიეროს საზოგადოებაში სოციალური კონტროლის მექანიზმი და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ აქტივო-

50 შალიკაშვილი, მ., 2017. კრიმინოლოგია. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 181.
51 ჩიხლაძე, დ., 2016. დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. კრიმინოლოგიის ჟურნალი, 1, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 28.
52 იხ. შალიკაშვილი, მ., 2017. კრიმინოლოგია, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 182.
53 იხ. ჩიხლაძე, დ., 2016. დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. კრიმინოლოგიის ჟურნალი, 1, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 33.
54 იქვე. 34.
55 იხ. შალიკაშვილი, მ., 2017. კრიმინოლოგია. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 182.

ბებში პოლიციის მაქსიმალურ ჩართულობას, პრევენციული ზომების ეფექტურად მიღებისა და სოციუმთან უფრო მჭიდრო, ლიბერალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით. აღნიშნულით მიიღწევა ორი სასარგებლო შედეგი: პირველი, პრევენციული ზომების გატარება შეამცირებს ყოველდღიურად იმ ანტისაზოგადოებრივი ქმედებების ჩადენის რიცხვს, რომლებსაც დანაშაულში გადაზრდის ტენდენცია გააჩნიათ და მეორე, საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის ჩამოყალიბება გამოიწვევს მათთან აქტიურად თანამშრომლობის სურვილს, რაც ბევრად უფრო გააამარტივებს დანაშაულობასთან ეფექტურად ბრძოლის პროცესს.

რაც შეეხება მესამე დონის პრევენციას, განსხვავებით პირველი და მეორე დონის პრევენციებისაგან, იგი გამოიყენება დანაშაულის ჩადენის შემდეგომ პერიოდში. ანუ მას შემდეგ, რაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა და პირმა ჩაიდინა დანაშაული. ასეთ შემთხვევაში პირზე ვრცელდება სისხლის სამართალი და მის გამოსწორებაზე ან პენიტენციალური დაწესებულება, ან შესაბამისი სამსახურები ზრუნავენ.

კრიმინოლოგია დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან ის უზრუნველყოფს იმ მონაცემების გაანალიზებას, რაც უკავშირდება დანაშაულებრიობას და სასჯელის ეფექტურობის კონცეფციას:[56] *„კრიმინოლოგი აანალიზებს დანაშაულის მიზეზებს და საზოგადოებასა და დანაშაულს შორის დამოკიდებულებას, დამნაშავის ქცევას და იმ მეთოდებს, რომლებსაც იგი დანაშაულისათვის იყენებს. [...] იკვლევს დამნაშავის პიროვნებას, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ქცევას, სოციალურ საკითხებს, გარემო ფაქტორებს, განათლების დონესა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. [...] განსაზღვრავს იმ სოციალურ მიზეზებს, რომელთაც უბიძგეს დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენა“.*[57]

სახელმწიფოს მიერ სასჯელის მიზნების განხორციელების მთავარი იდეა მსჯავრდებულის მიმართ გამოიხატება მისი ბიო-ფსიქო-სოციალური პორტრეტის შექმნაში. რაც, თავის მხრივ, ეხმარება სახელმწიფოს გააანალიზოს მსჯავრდებულის პიროვნება და მიუდგეს მას ინდივიდუალურად. გაარკვიოს რამდენადაა შესაძლებელი მისი სრულფასოვანი რესოციალიზაცია და შეადგინოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა მის მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალდებულებაა სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვა ყოფილ მსჯავრდებულზე. რათა გამოირიცხოს მისი მხრიდან დანაშაულის ხელახალი ჩადენა. აღნიშნულის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, სასამართლოს მიერ ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის ზომის დანიშვნა, ე.წ. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

„კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის შეცვლაში, კრიმინალური სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოების მიერ პიროვნება მიჩნეული იქნება კრიმინალად, იგი ამის შემდეგ იქცევა ისე, რომ გაამართლოს საზოგადოების შეხედულება მისი პიროვნების შესახებ“.[58] ერთი მხრივ, პირი დამნაშა-

56 იხ.Williams, S. K., 2012. Textbook on Criminology. 7th Ed., Oxford: Oxford University press, გვ. 417.

57 წულაია, დ., 2010. კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. მართლმსაჯულება და კანონი, 3, გვ. 127-128.

58 შალიკაშვილი, მ. და მიქანაძე, გ., 2011. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, გვ. 46.

ვედ იქცევა სახელმწიფოს სოციალური ორგანოების „ძალისხმევით", რაც პირში იწვევს ფსიქოლოგიის გადატრიალებასა და მის კანონდამრღვევად ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, როდესაც სახელმწიფო ვერ ამხელს მას დანაშაულში და მისი ქმედება დაფარული რჩება, ამ შემთხვევაში მეტი შანსია, რომ დამნაშავე გათამამდეს და უფრო მძიმე ქმედება ჩაიდინოს.[59] *„საზოგადოების მიერ დამნაშავე ინდივიდისადმი მეტი ყურადღების, ნდობის და სიყვარულის გამოხატვით შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა".*[60] კ.ვილიამსი საინტერესოდ იხილავს ეტიკეტირების საკითხს, მისი აზრით: *„საკითხავია, ვის ეტიკეტირებას ვახდენთ – როგორც დამნაშავე? – ალბათ იმათი, რომელთაც დაარღვიეს კანონი, ბანალური პასუხია, ვინაიდან ძალიან ბევრს აქვს ჩადენილი კანონდარღვევა(დანაშაული), აქედან გამომდინარე სწორი იქნებოდა პასუხი, რომ ჩვენ იარლიყს ვაწებებთ და ვსჯით იმათ, ვისი დაკავებაც მოხერხდა".*[61] აღნიშნული მოსაზრება სავსებით სწორია, როდესაც დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი რეალურად საკმაოდ დაბალია. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ 2016 წელს რეგისტრირებულია 35997 დანაშაული, აქედან გახსნილია 57,4%, ანუ 20661 დანაშაული.[62] 2017 წელს რეგისტრირებული იყო 37944 დანაშაული, აქედან გახსნილია 53.24%, ანუ 20200 დანაშაული.[63] 2018 წელს რეგისტრირებულია 58412 დანაშაული, აქედან გახსნილია 34.64%, ანუ 20233 დანაშაული. 2019 წელს რეგისტრირებულია 64123 დანაშაული, აქედან გახსნილია 35.61%, ანუ 22832 დანაშაული.[64] ხოლო, 2020 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით კი, სულ რეგისტრირებულია 48543 დანაშაული, აქედან გახსნილია 34.33%, ანუ 16663 დანაშაული.[65] აღსანიშნავია, რომ სჭარბობს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ოჯახში ძალადობის ფაქტები. აგრეთვე აქტუალურია სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულები. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლატენტური დანაშაული ვერ ხვდება აღნიშნულ ოფიციალურ სტატისტიკებში. რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამცირებს დანაშაულის გახსნის საერთო მასშტაბს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ აქტიური ღონისძიებების გატარებითა და კვალიფიციური კრიმინოლოგების ჩართულობით, შეიმუშაოს ეფექტური პროგრამები, აქტივობები და შემდგომ უკვე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში,

59 იხ. შალიკაშვილი, მ. და მიქანაძე, გ., 2016. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). მეორე გამოცემა. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: მერიდიანი, გვ. 48.

60 შალიკაშვილი, მ., 2010. კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი(საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში). სამართლის ჟურნალი, 1(2), გვ. 208.

61 იხ. Williams, S. K., 2012.Textbook on Criminology. 7th Ed., Oxford: Oxford University press, გვ. 417.

62 იხ. სტატისტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.info.police.ge/uploads/5a90001f27496.pdf> [წვდომის თარიღი 16 მაისი 2019].

63 იხ. სტატისტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf> [წვდომის თარიღი 16 მაისი 2019].

64 იხ. სტატისტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.info.police.ge/uploads/5e3a6b603887b.pdf> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

65 იხ. სტატისტიკა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.info.police.ge/uploads/5fc52a3e509af.pdf> [წვდომის თარიღი 31 ოქტომბერი 2020].

შეამცირებს დანაშაულის აღნიშნულ მაჩვენებლებს და გაზრდის გახსნილ დანაშაულთა რიცხვს. რაც მთავარია, მოახდენს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და მაქსიმალურად შეამცირებს პოტენციური მსხვერპლების ვიქტიმიზაციისა და რევიქტიმიზაციის პროცესს.

დასკვნა

დამნაშავეობის დონის შემცირებაში სახელმწიფოს უამრავი ბერკეტი გააჩნია, თუმცა ყველაზე გავრცელებული და აპრობირებული მეთოდია დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებების გატარება. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პიროვნების დასჯა, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, არაა საკმარისი და ეფექტური, ვინაიდან სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული ისევ საზოგადოებას უბრუნდება და თუ მის ცნობიერებაში ძირეული გადატრიალება არ მოხდება, ის კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. სასჯელის მიზნებიდან არცერთი ისე არ უზრუნველყოფს დანაშაულის დონის შემცირებას, როგორც ეფექტური რესოციალიზაციის განხორციელება. ვინაიდან, თუკი სახელმწიფო აქტიური ღონისძიებების განხორციელებითა და მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე მოახდენს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, იგი დანაშაულს განმეორებით აღარ ჩაიდენს და შესაბამისად, მიზანიც მიღწეული იქნება და საბოლოოდ, დამნაშავეობის დონეც შემცირდება. ვინაიდან დამნაშავეც ისეთივე განუყოფელი ნაწილია ადამიანთა ერთობისა, როგორც სხვა ნებისმიერი პირი. სახელმწიფომ მასზეც უნდა იზრუნოს და ამავე დროს დაიცვას საზოგადოება მის მიერ ხელახალი დანაშაულის ჩადენისაგან. ამასთან, მნიშვნელოვანია, თავად საზოგადოების აქტიური როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში, ვინაიდან დამნაშავე საზოგადოების წიაღში იშვა და თავად საზოგადოებამ უნდა აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაერთონ სასჯელაღსრულების დაწესებულებების კონტროლში და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი სასჯელმოხდილ პირს, ისწავლოს დანაშაულის გარეშე ცხოვრება.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მურადაშვილი, ვ., 2019. სახელმწიფოს როლი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.openscience.ge/bitstream/1/947/1/samagistro%20muradashvili.pdf> [წვდომის თარიღი 16 ოქტომბერი 2020].

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].
3. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <ttps://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].
4. საქართველოს კანონი საქართველოს სიხ-

ლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].
5. საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2019].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/3/540).
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/415).
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2017 წლის 12 იანვრის განაჩენი (საქმე №1/ბ-1123-16).
4. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BVerfGE 35, 202, 235).

Bibliography:

Used Literature:

1. Muradashvili, V., 2019. The Role of State in The Process of Resocialization of the Convict. [Online] Available at: https://www.openscience.ge/bitstream/1/947/1/samagistro%20muradashvili.pdf [Accessed 16 October 2020].

Normative material:

1. Constitution of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
2. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms Rome, 4 November 1950. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
3. Law of Georgia Criminal Code of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
4. Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124 [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
5. Law of Georgia Code of Imprisonment. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34 [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)

Judicial practice:

1. The Decision of the Constitutional Court of Georgia, 12 September 2014 (Case №2 / 3/540). (in Georgian)
2. The Decision of the Constitutional Court of Georgia, 06 April 2009 (Case №2 / 1/415). (in Georgian)
3. The Decision of the Criminal Chamber of the Tbilisi Court of Appeal, January 12, 2017 (Case №1 / B-1123-16). (in Georgian)
4. The Decision of the German Federal Court (BVerfGE 35, 202, 235). (in Georgian)

References:

1. Dobryden, O. A., 2010. Compromise as an effective method of resocialization of convicts to imprisonment and preparing them for life in freedom. Bulletin of the Saratov State Academy of Law, 3 (73), p. 141. (in Russian)
2. Philosophical Dictionary. 1997. Moscow, p. 136. (in Russian)
3. Articles 4 & 5, Law of Georgia Criminal Code of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
4. Nachkebia, G., 2002. Criminal Relations and the Concept of Crime. Tbilisi: Business Courier, p. 31. (in Georgian)
5. Nachkebia, G., 1997. Subject of Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 47. (in Georgian)
6. Gotua, Z., 2001. Criminal Law General Part. Sentence, Course of Lectures, Tbilisi: Institute of State and Law of the Georgian Academy of Sciences, p. 7. (in Georgian)

7. Lekveishvili, M. and others, 2018. General Part of Criminal Law Manual. Third Edition, Tbilisi: Meridiani, p. 64. (in Georgian)
8. Dvalidze, I., 2013. General Part of Criminal Law Punishment and Other Criminal Consequences of Crime. Tbilisi: Meridiani, p. 25. (in Georgian)
9. Gotua, Z., 2001. Criminal Law General Part. Sentence, Course of Lectures, Tbilisi: Institute of State and Law of the Georgian Academy of Sciences, p. 8. (in Georgian)
10. The Decision of the Criminal Chamber of the Tbilisi Court of Appeal, 12 January 2017 (Case №1 / B-1123-16). (in Georgian)
11. Gegenava, D. and others, 2015. Constitutional Law of Georgia. Third Edition, Tbilisi: Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 12. (in Georgian)
12. Vardzelashvili, I., 2016. Aims of Punishment. Tbilisi: University Press, p. 23. (in Georgian)
13. Vardzelashvili, I., 2013. The Problem of Relationship between Qualification and Punishment Goals in Action. Law Journal, 2, p. 190. (in Georgian)
14. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: world of lawyers, p. 21. (in Georgian)
15. Locke, J., 1980. Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press, p. 131. (in English)
16. Kobakhidze, I., 2013. The principle of the legal State as a directly applicable law. Journal of Law, 1, p. 320. (in Georgian)
17. Demetrashvili, A. and Kobakhidze, I., 2011. Constitutional Law. Tbilisi: Innovation , p. 78. (in Georgian)
18. Dworkin, R., 1987. What is Equality. Part 3: The Place of Liberty, Iowa Law Review 73/1, p. 8. (in English)
19. Sommermann, K., Mangoldt, H., Klein F. Und Starck Ch.(Hrsg.), 2010. Kommentar zum Grundgesetz Art. 20. München, S. 232. (in German)
20. The Decision of the Constitutional Court of Georgia, 6 April 2009 (Case №2/1/415) (in Georgian)
21. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: world of lawyers, p. 22. (in Georgian)
22. Ibid. p. 24-25. (in Georgian)
23. Usenashvili, J., 2016. Commitment of the Social State in the Process of Resocialization of Convicts. Journal of Criminology, 1, p. 47-48. (in Georgian)
24. Eremadze, K. and others, 2016. Introduction to Constitutional Law. Tbilisi: Meridiani, p. 14-15. (in Georgian)
25. Izoria, L., 2013. Commentary on the Constitution of Georgia. Chapter Two, Citizenship of Georgia, Fundamental Rights and Freedoms, Article 39, Tbilisi: GIZ, p. 485. (in Georgian)
26. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: world of lawyers, p. 33. (in Georgian)
27. Schwabe, I., 2011. Decisions of the German Federal Constitutional Court. Tbilisi: GIZ, p. 315. (in Georgian)
28. Eremadze, K. and others, 2016. Introduction to Constitutional Law. Tbilisi: Meridiani, p. 109 (in Georgian)
29. Schwabe, I., 2011. Decisions of the German Federal Constitutional Court. Tbilisi: GIZ, p. 214. (in Georgian)
30. The Decision of the German Federal Court (BVerfGE 35, 202, 235) (in Georgian)
31. The online store. [online] Available at: <https://www.online.moc.gov.ge/katalogi> [Accessed 15 May 2019]. (in Georgian)
32. Article 26, Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 10 May 2019]. (in Georgian)
33. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: world of lawyers, p. 192. (in Georgian)
34. The Decision of the Constitutional Court of Georgia, 12 September 2014 (Case №2/3/540). (in Georgian)
35. Kiria, A., Burduli, I., "eds.", 2014. Economic Analysis of Law and Its Methodological Boundaries. Collection of Corporate Law, II, p.17. (in Georgian)
36. Gamkrelidze, O., 2013. Criminal Problems. Volume III, Tbilisi: world of lawyers, p.111. (in Georgian)
37. Khubua, G., 2015. Theory of Law. Second Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p. 133. (in Georgian)

38. Balarjishvili, I., 2010. The Economics of Crime and Punishment. Tbilisi: Innovation, p. 60. (in Georgian)
39. Shalikashvili, M., 2017. Criminology. Third Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p. 208. (in Georgian)
40. Khubua, G., 2015. Theory of Law. Second Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p. 134. (in Georgian)
41. Balarjishvili, I., 2010. The Economics of Crime and Punishment. Tbilisi: Innovation, p. 40. (in Georgian)
42. Lekveishvili, M., 2011. Aimes and Specifics of Juvenile Sentencing, Problems of Comparing Juvenile Sentence and Coercive Measures. Collection of Articles, Tbilisi: Meridiani, p. 35. (in Georgian)
43. Phillips L. and Votey Hi.JR., 1981, The Economics of Crime Control. Beverly Hills, p. 25. (in English)
44. Anderson, W. R., 1976. The Economics of Crime. The Macmillan Press LTD, p. 54. (in English)
45. Balarjishvili, I., 2010. The Economics of Crime and Punishment. Tbilisi: Innovation, p. 61. (in Georgian)
46. Rubin, H.P., 1980. The Economics of Crime. Cambridge(Mass.), p. 20. (in English)
47. Shalikashvili, M., Mikanadze, G. & Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: world of lawyers, p.35. (in Georgian)
48. Akubardia, I., 2011. The Art of Defense. Tbilisi: Meridiani, pp. 203-204. (in Georgian)
49. Loladze, B., Korkelia, K., "eds.", 2012. Social State – A Threat to Fundamental Human Rights and Freedoms? Human Rights: Achievements and Challenges. Collection of Articles, Tbilisi: GIZ, p. 113. (in Georgian)
50. Shalikashvili, M., 2017. Criminology. Third Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p. 181. (in Georgian)
51. Chikhladze, D., 2016. Criminal and Criminological Aspects of Crime Prevention. Journal of Criminology, 1, Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 28. (in Georgian)
52. Shalikashvili, M., 2017. Criminology. Third Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p.182. (in Georgian)
53. Chikhladze, D., 2016. Criminal and Criminological Aspects of Crime Prevention. Journal of Criminology, 1, Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 33. (in Georgian)
54. Ibid. p. 34.
55. Shalikashvili, M., 2017. Criminology. Third Completed and Revised Edition, Tbilisi: Meridiani, p. 182. (in Georgian)
56. Williams, S. K., 2012. Textbook on Criminology. 7th Ed., Oxford: Oxford University press, p. 417 (in English)
57. Tsulaia, D., 2010. The Importance of Criminology in the State and Society. Justice and Law, 3, p. 127-128. (in Georgian)
58. Shalikashvili, M. And Mikanadze, G., 2011. Peculiarities of Juvenile Justice: Criminological, Criminal, Penitentiary and International Legal Foundations of Juvenile Justice. Tbilisi: Penitentiary and Probation Training Center, p. 46. (in Georgian)
59. Shalikashvili, M. and Mikanadze, G., 2016. Juvenile Justice (textbook). second edition, Tbilisi, Freiburg, Strasbourg: Meridiani, p. 48. (in Georgian)
60. Shalikashvili, M., 2010. Criminological Analysis of Criminal Career Promotion (The Role of Society in the Process of Criminalization of a Person). Law Journal, 1-2, p. 208. (in Georgian)
61. Williams, S. K., 2012. Textbook on Criminology. 7th Ed., Oxford University press, p. 417 (in English)
62. Statistics. [online] Available at: <https://www.info.police.ge/uploads/5a90001f27496.pdf> [Accessed 16 May 2019]. (in Georgian)
63. Statistics. [online] Available at: <https://www.info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf> [Accessed 16 May 2019]. (in Georgian)
64. Statistics. [online] Available at: <https://www.info.police.ge/uploads/5e3a6b603887b.pdf> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)
65. Statistics. [online] Available at: <https://www.info.police.ge/uploads/5fc52a3e509af.pdf> [Accessed 31 October 2020]. (in Georgian)